საქართველოს მთავრობის

დადგენილება №89

2026 წლის 27 თებერვალი

ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მომსახურების ტარიფების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2026 წლის 28 იანვრის №36 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მომსახურების ტარიფების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2026 წლის 28 იანვრის №36 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 29/01/2026, 040030000.10.003.025585) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებულ „მომსახურების ტარიფებში“:

1. კოდი – „12 1005“ („ნაბეჭდ ტექსტში მიბეჭდვის ფაქტის დადგენა“) ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „11 1005“.

2. კოდი – „13 0005“ („სამშენებლო სამუშაოების კალკულაციის (ერთეულის ფასის) შედგენა“) ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „13 1005“.

3. კოდი – „131 029“ („პროექტის კალენდარული გეგმა-გრაფიკის ექსპერტიზა“) ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „13 1029“.

4. კოდი – „21 1007“ („ბიუროში მომზადებული ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური დასკვნის საფუძველზე ალკოჰოლური თრობის ხარისხის განსაზღვრა“) ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „20 1007“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2026 წლის 1 მარტიდან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**